გამომცემი: ა(ა)იპ
„ქართული მედია ჯგუფი“,
კატო მიქელაძის
გაზეთის მიხედვით

ხმა ქართველი ქალისა

21 აპრილი, 2023 წელი.
გაზეთი ვრცელდება
უფასოდ

№2 გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ

„ქალის ხმა“ – გადაცემაში „ქართული მედია ჯგუფი“ მაყურებელს ადგილობრივ ქალებთან დაკავშირებულ თემებს გააცნობს

„ქართულმა მედია ჯგუფმა“ გაზეთის გამოცემასთან ერთად გადაცემის „ქალის ხმა“ მომზადებაც დაიწყო. ის Feminism.ge-ზე თვეში ერთხელ განთავსდება და მას ლელა ლობჟანიძე გაუძღვება. სტუდია რეგიონის აქტიურ ქალებს უმასპინძლებს, საუბარი კი ორ მიმართულებას შეეხება. 1 – როგორ მუშაობენ მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოები, 2 – როგორ აშუქებს ადგილობრივი მედია ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

„როდესაც სოფლად მცხოვრებ ქალებს ვხვდებოდით და საჭიროებებზე ვესაუბრებოდით, ვაცნობდით ადვოკატირების საშუალებებს და სხვადასხვა მუნიციპალურ სერვისს. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოების არსებობის და მისი საქმიანობის შესახებ. ასევე პრობლემაა ისიც, რომ ჩვენი დაკვირვებით, მედია ქალთა საკითხებს იმ დროს აშუქებს, როდესაც რაიმე ძალადობის ფაქტს აქვს ადგილი. ხშირად ქალები წარმოდგენილები არიან, როგორც კარგი დიასახლისები, კულინარები, ხელსაქმით გამორჩეულები და ა.შ. თუმცა რაიმე სერიოზულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე სამწუხაროდ აზრს ძირითადად კაცებს ეკითხებიან. ამდენად, გვსურს რომ მონიტორინგის შედეგად ხელი შევუწყოთ ჩვენი კოლეგების ამ მხრივ დაფიქრებას და მეორე მხრივ სოფლად მცხოვრებ ქალებს ვუშუამდგომლოთ იმ საჭიროებების გადაწყვეტისთვის, რაც მათ თემშია აქტუალური“, – ამბობს პროექტის ხელმძღვანელი ნინო ჩიბჩიური, რომელმაც აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო ვრცლად პირველ გადაცემაში ისაუბრა.

პირველი გადაცემის მეორე ნაწილის სტუმარი ჟურნალისტი შორენა ბიჭიკაშვილი იყო. ის უშუალოდ უწევს კოორდინირებას იმ ქალებს, რომლებიც პროექტში შიდა ქართლის სხვადასხვა სოფლიდან არიან ჩართულები, და რომლებიც მედიის და გენდერული თანასწორობის საბჭოებს დააკვირდებიან.

„გორის, ქარელის, ხაშურის და კასპის მუნიციპალიტეტიდან 2-2 წარმომადგენელი გვყავს. 8 ლიდერი ქალი უკვე დაესწრო 3 ძალიან მნიშვნელოვან და საინტერესო ტრენინგს, სადაც კვალიფიციური ექსპერტებისგან ისწავლეს, რაზე უნდა გააკეთონ აქცენტები მონიტორინგის პროცესში, რა ვალდებულებები აქვთ გენდერული თანასწორობის საბჭოებს მუნიციპალიტეტებში, როგორ შეიძლება ხდებოდეს მედია გაუცნობიერებლად საზოგადოებაში ისედაც დამკვიდრებული სტერეოტიპების ხელშემწყობი და ა.შ. ყველა გადაცემაში ისინი ეტაპობრივად გაგვაცნობენ იმ მონიტორინგის შედეგებს, რასაც პროექტის ფარგლებში მედიის და გენდერული თანასწორობის საბჭოების მუშაობაზე მოამზადებენ“, – აღნიშნა შორენა ბიჭიკაშვილმა.

ისევე როგორც გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, გადაცემაც „ქალთა ფონდის“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში მზადდება. ამ პროექტით „ქართული მედია ჯგუფი“ ცდილობს მედიაში მგრძნობელობის გაზრდას აღნიშნული მიმართულებით და ქალთა ჩართულობის ხელშეწყობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მუნიციპალურ დონეზე.

„გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობაზე მონიტორინგი ადგილობრივი ქალების გააქტიურებას შეუწყობს ხელს“ – ელენე რუსეცკი

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა „ქართული მედია ჯგუფის“ ახალი პროექტის მონაწილეებს, გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობა გააცნო. ელენე რუსეცკი თემის ლიდერებს ამ გაერთიანების როლზე ესაუბრა და ქალთა საკითხების წამოსაწევად მათი ჩართვის მნიშვნელობა განუმარტა. როგორც აღმოჩნდა, სოფლად მცხოვრები ქალების ნაწილს არ აქვს ინფორმაცია საბჭოს არსებობის და მისი დანიშნულების შესახებ, ამიტომ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება და შემდეგ თანასოფლელ ქალებთან გაზიარება მათი თქმით აუცილებელია.

აღსანიშნავია, რომ „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ და უშუალოდ მისი ხელმძღვანელი თავის დროზე პირადად იყო ჩართული მუნიციპალურ დონეზე შესაბამისი დადგენილების შემუშავებისა და სამოქმედო გეგმის გაწერის პროცესში. ელენე რუსეცკის თქმით, გენდერული თანასწორობის საბჭოების მთავარ მიზანს, ბიუჯეტის იმდაგვარად გადანაწილებისთვის ხელშეწყობა წარმოადგენს, რომ თანაბარი სარგებელი მიიღოს როგორც კაცმა ისე ქალმა.

„მნიშვნელოვანია, რომ „ქართული მედია ჯგუფი“ ძალიან აქტიური ქალებით დაკომპლექტებული გუნდით იწყებს გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის მონიტორინგს შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში. მქონდა საშუალება ამ გუნდისთვის გამეზიარებინა გამოცდილება, აღნიშნული საბჭოების მუშაობასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, მონიტორინგის შედეგად, საინტერესო მიგნებები გამოიკვეთება, რითიც პერიოდულად აუცილებლად დავინტერესდები“, – აღნიშნა ელენე რუსეცკიმ.

ტრენინგი, რომელიც ელენე რუსეცკიმ „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის მონაწილე ქალებთან ჩაატარა, „ქალთა ფონდის“ მიერაა მხარდაჭერილი.

ნინო ჩიბჩიური

შიდა ქართლში ადგილობრივი მედიისა და გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობას „ქართული მედია ჯგუფის“ ანალიტიკოსები დააკვირდებიან

დასრულდა სატრენინგო კურსი, რომელიც ქალ ანალიტიკოსთა ჯგუფს ჩაუტარდა“.ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის ფარგლებში შეხვედრებს სპეციალურად მოწვეული ტრენერები უძღვებოდნენ. საკუთარი გამოცდილება მათ ორი მიმართულებით გააცნეს, გენდერული თანასწოროების საბჭოების საქმიანობა და რეგიონში მედიის მიერ, ქალთა უფლებებთან დაკავშირებით გავრცელებული საკითხები.

თამარ გლურჯიძე საოკუპაციო ხაზის სოფელ ბერშუეთიდანაა, ის წლებია საკუთარ თემში ქალთა ცხოვრებას აკვირდება და „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტებშიც მონაწილეობს, ამბობს, რომ მონიტორინგი მედიასა და გენდერული თანასწორობის საბჭოებზე მისთვის ახალი გამოწვევაა, რასაც მომზადებული ხვდება და საინტერესო მიგნებებსაც გვპირდება.

„უკვე დავიწყეთ მუშაობა სატრენინგო კურსის გავლის შემდეგ. ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაგვიზიარეს ექსპერტებმა, რასაც ბუნებრივია გამოვიყენებთ და ვფიქრობთ საინტერესო შედეგები გვექნება პროექტის დასასრულს, რასაც თავისთავად გავაცნობთ საზოგადოებას“, – აღნიშნა თამარ გლურჯიძემ.

თამარისგან განსხვავებით ლიკა თოთლაძე გორში გამართულ ტრენინგებზე დასასწრებად სხვა მუნიციპალიტეტიდან დადიოდა. ის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარში ცხოვრობს და თემში ქალების გააქტიურება სურს.

„ყოველთვის ვცდილობ, რომ სიახლეები, რასაც ტრენინგებზე ვიგებ გავუზიარეო თანასოფლელ ქალებს. ამ გენდერული თანასწორობის საბჭოებზე, მათ არაფერი იციან, არც ის, თუ რა როლი აქვთ ქალთა გაძლიერებაში და როგორ შეუძლიათ განხილულ საკითხებზე ინფორმაცია მიიღონ. ამიტომ მე ვიქნები ჩემი მუნიციპალიტეტიდან ხმა, რომელიც ადგილობრივი ქალების სათქმელს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებამდე მივიტან და პირიქით, სიახლეებს და მიმდინარე გეგმებს სოფელში გავავრცელებ“, – აღნიშნა ლიკა თოთლაძემ.

პროექტის მონიტორინგის ჯგუფში 8 ქალია ჩართული:

ხაშურის მუნიციპალიტეტი – ირინა კილაძე, რუსუდან მინდიევი,

ქარელის მუნიციპალიტეტი – ლიკა თოთლაძე, ლიკა მზარეულიშვილი,

გორის მუნიციპალიტეტი – თამარ გლურჯიძე, მერი კორინთელი

კასპის მუნიციპალიტეტი – ალიონა ნუკრაძე, მარიამ ვალიშვილი.

ნინო ჩიბჩიური

გეგმის მიხედვით, გენდერული თანასწორობის საბჭო გორში სამ თვეში ერთხელ იკრიბება

„გენდერული საბჭოების შექმნის მთავარი მიზანი გენდერული თანასწორობის დაცვა და ქალთა გაძლიერებაა ადგილობრივ დონეზე“ – თამარ მურალოვა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრია. ამბობს, რომ ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, თვითმმართველობების საქმიანობაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მურალოვას განმარტებით, საბჭოების მიზანია, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ძველი სტერეოტიპების და მიდგომების შეცვლა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა საკითხები, რაც უკავშირდება გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვას. გენდერულ საბჭოს აქვს 3 წლიანი სამუშაო გეგმა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მისი საქმიანობა.

„გენდერული საბჭოს სხდომები გეგმის მიხედვით გაწერილია სამ თვეში ერთხელ. გორის მუნიციპალიტეტის გენდერულ საბჭოს შედგენილი აქვს კალენდარი თვალსაჩინოებისთვის, სადაც აღნიშნულია საკრებულოს მუშაობის, ბიუროს, კომისიების, საკრებულოს და გენდერული საბჭოს სხდომების გრაფიკები“, – აღნიშნა თამარ მურალოვამ.

მისივე თქმით, სხდომების შესახებ მოქალაქეებს ინფორმაციას წინასწარ აწვდიან, შეხვედრები ადმინისტრაციულ ერთეულში წარმომადგენლის, საკრებულოს წევრის და ასევე მოქალაქეთა ჩართულობით იმართება. გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა 24 მაისსაა ჩანიშნული.

შორენა ბიჭიკაშვილი

„გორში ანა სოლოღაშვილის ქუჩა აუცილებლად უნდა გვქონდეს, იმედია მომავალში მაინც აღარ დაბლოკავენ მსგავს ინიციატივას"

გორში გვაქვს ქუჩები, რომელსაც შეიძლება სახელი შევუცვალოთ, ვფიქრობ ზოგიერთი ქუჩის სახელმა თავისი შინაარსი დაკარგა, მაგალითად: სადგურის დასახლებაში, კვლავ არსებობს ქარხნის ქუჩა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან, იმ პერიოდთან, როდესაც ქვეყანაში „ქარხნები გუგუნებდა".

ჩემი მუშაობის დროს, მქონდა პრივილეგია წარმომადგენლობით ორგანოს წინაშე გამეჟღერებინა სხვადასხვა ინიციატივა. ერთ-ერთი ჩემი მიმართვა საკრებულოსადმი, 2017 წლის 16 მაისს, უკავშირდებოდა ქალაქ გორში, ქარხნის ქუჩისთვის ანა სოლოღაშვილის სახელის მინიჭებას. აღნიშნული ობიექტის სახელდების ინიციატივის მოტივაცია და დასაბუთება მდგომარეობდა შემდეგში:

ანა სოლოღაშვილი იყო ქალი წარმოშობით გორიდან, კერძოდ მეჯვრისხევიდან, რომელმაც ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს. მისი ცხოვრება სრულად დაკავშირებული იყო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან. ანა სოლოღაშვილი იყო მთარგმნელი, პედაგოგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, მოანწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში და მას 1937 წელს საბჭოთა რეჟიმმა დახვრეტა მიუსაჯა.

ამის გარდა, მინდოდა მომავალ თაობებს შემოენახათ ხსოვნა საამაყო გორელი ქალისა, რომელიც იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის

ამავე განცხადებით საკრებულოს ვთხოვდი უსახელო გამზირისათვის, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის წინ მდებარეობს, ჭავჭავაძის ქუჩისა და სტალინის გამზირის კვეთაზე, მიენიჭებინათ „ევროპის მოედნის" სახელი, რითიც კიდევ ერთხელ ხაზგასმული იქნებოდა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ევროპული ოჯახისკენ სწრაფვა, თუმცა ვფიქრობდი, რომ ანა სოლოღაშვილთან დაკავშირებულ ინიციატივას უფრო ჰქონდა შანსი.

თითქმის ორთვიანი ფიქრის შემდეგ 2017 წლის 26 ივნისს, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა ჩემი ინიციატივები და მიიღო უარყოფითი შეფასება, ისე, რომ დასკვნით არ დაუსაბუთებიათ მიზეზი. მხოლოდ მაცნობეს, რომ ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად მიაჩნიათ გორში, ქარხნის ქუჩისთვის ანა სოლოღაშვილის სახელის მინიჭება.

ვფიქრობ ინიციატივა, აუცილებლად უნდა განმეორდეს და ანა სოლოღაშვილის სახელობის ქუჩამ გორში აუცილებლად უნდა იარსებოს.

თამარ თედლიაშვილი
გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი წევრი

რატომ უნდა ვიყოთ ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულები?

საკმაოდ პატარა ასაკიდან დავიწყე ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ჩავერთე სხვადასხვა პროექტში, შემდგომ მქონდა პაუზა გარკვეული მიზეზების გამო და როგორც კი მომეცა საშუალება მაშინვე ჩავერთე ისევ სხვადასხვა საინტერესო აქტივობაში. ვფიქრობ ქალმა აუცილებლად უნდა გამონახოს დრო და ყველაფერთან ერთად ჩართული იყოს საზოგადოებრივ საქმიანობაშ ეს მისთვის, როგორც მოქალაქისთვის, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული ქალისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

ჩემი პირველი გამოწვევა, როგორც ტრენერის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ედეკის" მხარდაჭერით 2021წელს განხორციელებულ პროექტს უკავშირდება, რომლის შესახებაც შევიტყვე ასევე აქტიური მოქალაქისგან, ნინო მეგრელიშვილისგან. კურსის ორგანიზატორები იყვნენ მარიკა ლომიძე და ნინო გვაგვალია. შემდეგი იყო „ქართული მედია ჯგუფი" და ნეო ტვ, რომლის პროექტების ფარგლებშიც ნინო ჩიბჩიურის მიერ ორგანიზებული ტრენინგები ტარდებოდა. ამ ორგანიზაციებთან ამ დრომდე აქტიურად ვთანამშრომლობ და აქტიურად ვარ ჩართული მის აქტივობებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროექტის ფარგლებში პირადად მე ჩავატარე 2 შეხვედრა. ერთი შეეხებოდა ოჯახში ძალადობას, მეორე ნატოსა და ევროკავშირის როლს საქართვრლოში.

ამ ტრენინგების ჩატარებამ მომცა გარკვეული გამოცდილება, როგორიცაა საზოგადოების წინაშე წარდგენა და საკუთარი ცოდნის გაზიარება, ასევე გამომიმუშავა დამოუკიდებლად მუშაობის უნარი,თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თავიდან მქონდა დაძაბულობის შეგრძნება გარკვეული კომპლექსი საზოგადოების წინაშე წარდგენის, მაგრამ ნელ-ნელა გამოცდილებასთან ერთად ქრება დაძაბულობის შეგრძნებაც. იმისთვის, რომ თითოეული ჩვენთაგანი ჩამოყალიბდეს პროფესიონალად, საჭიროა საკუთარ თავზე ბევრი მუშაობა და კიდევ სხვა აქტივობებში ჩართვა. ზოგჯერ ქალებს, მითუმეტეეს ვისაც უკვე ოჯახი ყავს, უარს ამბობენ მსგავს შეხვედრებში მონაწილეობაზე, პრაქტიკამ კი გვაჩვნა, რომ სწორედ ასეთი აქტივობებიდან იყება საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/გამომუშავება და ხდები ჯერ თემის ლიდერი და შემდეგ თავდ ხედავ გზას, სადაც განვითარება და წარმატებაა.

ლიკა მზარეულიშვილი
ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხისის დევნილთა დასახლება

„ტრენინგი პირველად ჩავატარე და უდიდესი გამოცდილება მივიღე – დევნილ ქალებს მოტივაცია გვჭირდება"

მე, როგორც „ქართული მედია ჯგუფის" პროექტის ერთ-ერთმა მონაწილემ, მიღებული გამოცდილება თანასოფლელ ქალებს გავუზიარე. პროექტის, „ქალები დემოკრატიისა და მშვიდობის მშენებლობისთვის" ფარგლებში, მეტეხის დევნილთა დასახლებაში შეკრებილებს ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე ვესაუბრე. იძულებით გადაადგლებულმა პირებმა სურვილი გამოთქვეს მსგავსი უნარები მათაც შეიძინონ, თუმცა სხვადასხვა აქტივობაში ჩართვისთვის, ოჯახიდან სათანადო ხელშეწყობა არ აქვთ. მიღებული ცოდნა კი თანასწორ გარემოში ცხოვრებისთვის მათი თქმით, მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

ჩემი პირველი ტრენერობის პროცესი იყო და ძალიან პასუხისმგებლობით სავსე, რასაც დიდი შემართებით მოვეკიდე. ძალიან ბევრი ტრენინგის მონაწილე ვარ, როგორც მსმენელი. ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო თუ როგორ გადმოსცემდა ინფორმაციას ტრენერი, როგორი ენით, მიმართვით და საერთოდ როგორ დადებით გარემოებას დაამყარებდა დამსწრე საზოგადოებასთან. გამიადვილდა ის, რომ რა თემებზეც ვისაუბრე მქონდა გავლილი ტრენინგები და ასევე მოვიძიე დამატებითი ინფორმაციაც. ვფიქრობ, ჩემი დასახლების ქალბისთვისაც საინტერესო შეხვედრა იყო. გადავეცი ჩემი ნასწავლი ინფორმაცია და გავუზიარე გამოცდილება. ეს ყველფერი დამეხმარა ჩემი თავის რწმენაში, ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობაში, გადავლახე მორიდების შინაგანი ბარიერი,მომეცა ჩემი თავის რწმენა. ჩემს თავში ვხედავ, რომ უფრო მეტი ცოდნა და განვითარება,გამოცდილება მივიღე და თუ კიდევ მხვდება წილად ჩემი თავი წარვადგინო ტრენერად უფრო დახვეწილი, თავდაჯერებული, ლოგიკური მსჯელობით – ძალიან გამეხარდება.

„ქართული მედია ჯგუფის" პროექტი, რომლის ფარგლებშიც მეტეხის დევნილთა დასახლებაში ტრენინგი ჩატარდა, „ფონდი ტასოს" მიერაა მხარდაჭერილი.

ალიონა ნუკრაძე
კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის დევნილთა დასახლება

„თითქმის 20 წელია შიდა ქართლში ძალადობის მსხვერპლი, ომით დაზარალებული და ყოფილი პატიმარი ქალების გაძლიერებას ვცდილობთ“

ჩვენი ორგანიზაცია „ქალი და განვითარება“ 2004 წელს დაფუძნდა. ვცდილობთ ქალებისა და გოგონების წინაშე არსებულ გამოწვევებთან მაქსიმალურად ვიყოთ ადაპტირებული.

2006 წლიდან იყო მძიმე პრობლემები, მზარდი იყო ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ქმედებები. ჩვენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, აქტიურად ვიყავით ჩართული იმ კანონის მიღებაში, რომელიც ეხება ძალადობის აღკვეთას და მსხვერპლთა დაცვას. მართალია ეს კანონი მიიღეს 2006 წელს, თუმცა მისი იმპლემენტაცია, ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით იყო მნიშვნელოვანი, საწყის ეტაპზე ეს ყველაფერი იყო რთული, იმ პერიოდში ორიენტირებული ვიყავით ძალადობის პრევენციაზე.

2008 წლის ომის შემდეგ გვყავდა უამრავი დევნილი. ვიცით რომ ომის უპირველესი მსხვერპლები არიან ქალები და გოგონები, რომელთაც გადაიტანეს არაერთი სახის არაჰუმანური მოპყრობა, წამება და დამცირება. გვქონდა ფსიქოლოგიური სახის თანადგომის სერვისები, ახლა უკვე სახეზეა შემოსავლების ნაკლებობა და სიღარიბის მასშტაბი ქალთა შორის. იცით, რომ ქალებს არ აქვთ გარკვეული აქტივები, ისინი არ არიან რაიმე სახის ქონების მფლობელები და უკვე ჩვენი საერთაშორისო, დიდი მეგობრების მხარდაჭერით გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ დავაფუძნოთ და ფუნქციონირებდეს გორში ქალთა მხარდაჭერის, კეთილდღეობის, განვითარების და პროფესიული გადამზადების ჰაბი, სადაც შეეძლებათ ქალებს მიიღონ ფსიქოლოგიური მომსახურება და პირველადი ჯანდაცვის სერვისები, ამავე დროს მოხდეს მათი პროფესიული გადამზადება. თუ გოგონა დაეუფლება რაიმე პროფესიას, ჩვენი საშუალებით და შექმნის საკუთრ პროდუქციას/ბიზნესს, ჩვენ შეგვიძლია ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით, დავეხმაროთ მათ პროდუქტის რეალიზაციაში და სხვა საბაზრო კავშირების დამყარებაში. ვთვლი, რომ ეს არის ძალიან პოზიტიური და მნიშვნელოვანი სიახლე.

გორის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ომის, კონფლიქტის საფრთხის გეოგრაფიულ არეალს, აქედან გამომდინარე გვაქვს ასე ვთქვათ სამშვიდობო პროგრამები, რომ ქალებმა შეძლონ საკუთარი თავის დაცვა ომისა და კონფლიქტის პერიოდში, ამისთვის არსებობს სპეციალური რეზოლუციები, ამ პროგრამების ფარგლებში ჩვენ გავაძლიერებთ ქალებს, არა მხოლოდ ისეთ დონეზე, რომ ისინი იღებდნენ მონაწილეობას სამშვიდობო ინიციატივებში, არამედ – დონეზეც, რომ მათ საკუთრი ხმა, საკუთარი თემის ტკივილი უთხრან ცივილიზებულ სამყაროს.

ჩვენ ვართ განსხვავებული ორგანიზაცია იმით, რომ არ ვმუშაობთ მხოლოდ ოფისში, ჩვენ ვმუშაობთ ველზე, ვხვდებით ქალთა ჯგუფებს, პრაქტიკულად შიდა ქართლში და სამცხე-ჯავახეთში არ არის დარჩენილი თემი თუ სოფელი, სადაც არ გვაქვს ურთიერთობა. გვაქვს პირდაპირი კომუნიკაცია, ვუყვებით ყველა იმ პერსპექტივის და სარგებლობის შესახებ, რომელიც ჩვენთან ურთიერთობით შეუძლიათ მიიღონ. გვაქვს ხშირი გამოცემები, ბუკლეტები, როგორც ქართულად, ისე აზერბაიჯანულად, სომხურად. ვაწვდით ინფორმაციას, ფსიქოლოგიურ სერვისზე, გენდერზე დაფუძნებულ ძალადობაზე, ეს ყველაფერი მოიცავს სამუშაოების ძალიან ფართო სპექტრს.

ხელმოკლე ქალები და გოგონები ძალიან ბევრ ასპექტში წარმოადგენენ მოწყვლადობას, მაგალითისთვის მინდა გითხრათ, ხშირად თუ ქალს შეეფარდა პატიმრობა, მას ხშირად მთელი ოჯახი უარყოფს, ტოვებენ ადამიანს განსაცდელში, რომელიც რჩება ყოველგვარი დაცვის გარეშე, რა უნდა გააკეთოს ასეთმა ადამიანმა? არის იზოლაციაში, ამიტომ ასეთი შემთხვევების დროს, გვიხდება უზარმაზარი გზის გავლა, როგორმე არ იგრძნოს თავი მიტოვებულად ამ ადამიანმა. სახელმწიფოში არსებობს გარკვეული სერვისები ამ მიმართულებით, მაგრამ ამ იქამდე მისასვლელად მათ უნდათ ჰქონდეთ ინფორმაციაზე წვდომა.

ამდენად, რეგიონში ქალთა გაძლიერებისა და გააქტიურების კუთხით თითქმის 20 წლიანი გამოცდილებით ვგეგმავთ ამ მიმართულებით უფრო მეტ მუშაობას გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად.

ფატი ბუხრიკიძე
ორგანზიაციის „ქალი და განვითარება“ ხელმძღვანელი

„ჩვენი ორგანიზაცია ძირითადად წამების მსხვერპლებს ეხმარება, მათ შორის არიან ქალები და არასრულწლოვნები“

ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრს აქვს 22 წლიანი გამოცდილება. მე გახლავართ გორის ოფისის კოორდინატორი. ჩვენ ძირითადად მოვიცავთ შიდა ქართლს, თუმცა გვყოლია ბენეფიციარები სხვა რეგიონიდან, ჩვენი საქმიანობა მოიცავს სამედიცინო, ფსიქო-სოციალურ და იურიდიულ დახმარებას. ჩვენ გვაქვს პროექტები, რომლის ფარგლებშიც, გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად ვუწევთ მოქალაქეებს დახმარებას.

როდესაც მოგვმართავს ადამიანი, მას გაეწევა ფსიქოლოგიური დახმარება, შეფასდება მისი ფსიქო-სოციალური საჭიროებები, გამოიკვეთება მიზნები ბენეფიციართან ერთად, თუ რას გვინდა მივაღწიოთ. ასევე მასთან ერთად იგეგმება მუშაობის პროცესი, რეაბილიტაციაში ჩართული ბენეფიციარები სამი თვე ფსიქოლოგის მომსახურებას იღებენ უფასოდ. მათ ასევე შეუძლიათ სოციალური მუშაკის უფასო მომსახურების მიღება, თუ ბენეფიციარს აქვს რაიმე სახის დოკუმენტაციის პრობლემა, ასევე სურს რაიმე სახის განათლების მიღება, დარეგისტრირება სადმე, ჩვენი სოციალური მუშაკები მათ ეხმარებიან რეფერირებაში, საბუთების შეგროვებაში, ეხმარებიან ისეთი პროექტების მოძიებაში, რომ მათ შეეძლოთ რაიმე სახის განათლების მიღება.

მინდა ასევე ავღნიშნო რა სერვისების მიღება შეუძლიათ ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებს, მოზარდების, რომლებიც არიან 12 დან 18 წლამდე, ისინი ფინანსდებიან გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პროექტით, რომლის საშუალებით ისინი ერთვებიან რეაბილიტაციის პროცესში.

ოჯახში ძალადობის, ეკონომიური და სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს, ასევე ლგბტ ქალებისთვის გვაქვს სერვისები, თუმცა მხოლოდ ასე ვიწრო ჭრილში არ განვიხილავთ ამ საკითხს, ჩვენ ასევე ვეხმარებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც დაექვემდებარნენ წამებას, არაადამიანურ მოპყრობას, არაჰუმანურ დამოკიდებულებას, ეს შეეხება ყველა ადამიანს

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე

რას იტყვის ხალხი? – კითხვა, რომელიც ქალებს ძალადობრივ გარემოში ცხოვრებას აიძულებს

წლებია საქართველოში უფლებადამცველები სხვადასხვა რესურსის გამოყენებით მაქსიმალურად ცდილობენ ქალებში ცნობიერება აამაღლონ და საკუთარი უფლებების დაცვა ასწავლონ. შედეგიც სახეზეა, გაიზარდა მიმართვიანობის რიცხვი ძალადობის მსხვერპლთა მხრიდან შესაბამის სამსახურებთან/ორგანიზაციებთან და არაერთმა ქალმა შეძლო საკუთარი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა. მიუხედავად რთული მომენტებისა და დაძაბული პერიოდისა, თავი დააღწიეს გარემოს, რომელიც ტანჯავდა მათ.

ერთი შეხედვით მშვიდ, გაწონასწორებულ, მხიარულ და მუდმივად მომღიმარ ქალებსაც კი შესაძლოა ვერ შევამჩნიოთ როგორ სტკივათ და აწუხებს თუნდაც ქმრის ან ოჯახის სხვა წევრებისგან მუდმივი ცინიზმი, შიში, დაძაბულობა, შეურაცხყოფა, ჩაგვრა და ა.შ ქალების ნაწილი ძალადობას ცემასთან აიგივებს და ამაყად ამბობს, რომ ის მას არ შეხებია. მეორე ნაწილი კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობაშია და ძალადობის გამართლებას სხვადასხვა მიზეზებით ხსნის.

„ქალი ისე უნდა მოიქცეს, როგორც ქმარი ეტყვის“, „ოჯახს ხომ არ დაანგრევს, რას იტყვის ხალხი“, „კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამს,“ „ბავშვების გამო ვალდებულია მოითმინოს“, – ეს ფრაზები საზოგადოებაში გავრცელებულ მიდგომებს ასახავს, რომლებიც ყველას გვსმენია, თუმცა არანაკლებ საინტერესოა თავად ოჯახში ძალადობის მსხვერპლები როგორ ახმოვანებენ მათი უფლებების დარღვევის ფაქტებს“.ძალიან ვუყვარვარ და ეჭვიანობს, დიდი სიყვარულით მცემს“, „ბავშვების გამო იძულებული ვარ გავუძლო სადამდეც შევძლებ“, „რომ წავიდე სად წავიდე მშობლებიც არ მიმიღებენ და უარესად გავუბედურდები“, პოლიციაშიც რომ დავრეკო და დაიჭირონ, გამოვა ციხიდან და მომკლავს, რომ ვუჩივლე“

– რატომ?

პასუხი ერთადერთია, ოდესღაც ასე ასწავლეს. მათი შვილებიც იგივე გზას გადიან და მშობლების ასეთ ქმედებას ნორმად იწესებენ.

ამ ყველაფრის საფუძველი უფრო ადრინდელ პერიოდს უკავშირდება. ქალები საწყის ეტაპზევე არ მიმართავენ შესაბამის ზომებს, როდესაც დაჩაგრეს, დაამცირეს, სცემეს... მოკლედ რომ ვთქვათ, არაფერი გააკეთეს მაშინ, როდესაც იგრძნეს, რომ პატივს აღარ სცემდნენ.

რა შედის ზომების მიღებაში? მხოლოდ 112-ში დარეკვა არაა გამოსავალი. ქალმა თავად უნდა მოძებნოს ძალები საკუთარ თავში, რაც მას მშვიდად ცხოვრების გზების გაკვალვაში დაეხმარება. ქალი მუდმივად უნდა ზრუნავდეს პიროვნულ განვითარებაზე და ვინმეზე დამოკიდებული არ უნდა ცხოვრობდეს.

ეს უკვე კარგად გაიაზრა ახალმა თაობამ, თუმცა საერთო სურათის შესაცვლელად კიდევ ბევრია სამუშაო. მაგალითად, სოფლად გამოკითხული (ანონიმურად) 200 ქალიდან ერთიც კი არ ამბობს, რომ ოდესღაც ყოფილა ძალადობის მსხვერპლი, ან მის გარშემო რომელიმე ქალის ჩაგვრაზე სმენია. ქალებს აქვთ ინფორმაცია, მაგრამ ნაწილი ისევ დუმილს ამჯობინებს. მიზეზი ისევ იგივეა: „რას იტყვის ხალხი?“

ამასთან, ხშირად ქალს ძალადობრივ გარემოში ცხოვრებას და მოთმინებას „ჭკუის დამრიგებლები“ რელიგიური კონტექსტებით აიძულებენ, თუმცა ოჯახის განმარტებას ამ დროს რატომღაც ივიწყებენ და ისევ მოთმინებისკენ მიუთითებენ“.სიყვარული, ერთგულება და პატივისცემა“ – თუ აქედან ერთიც გაქრა, ყველა მცდელობა ე.წ. ოჯახის შენარჩუნებაზე, უბრალოდ აზრს მოკლებულია.

რამდენი ქალი გადაურჩებოდა ტანჯვას, ტკივილს და სიკვდილს, თავის დროზე ხმა რომ ამოეღოთ და საზოგადოების მხარდაჭერა ეგრძნოთ? რამდენი პოტენციური მოძალადე დაფიქრდებოდა, როდესაც ქალს არა მასზე დამოკიდებულს, არამედ წარმატებულს, გაძლიერებულს, ცვლილებებზე ორიენტირებულს, ინფორმირებულს და მიზანდასახულს დაინახავდა?

დიახ, გზა ყოველთვის არის.. ეს გზა მოძებნეს ეკამ, ნანამ, ნათიამ, მაიამ და კიდევ არაერთმა ქალმა, რომლებიც ახლა წარმატებული მეწარმეები, იურისტები, მენეჯერები, დიზაინერები თუ სხვა სფეროს სპეციალისტებიც არიან და ამავე დროს დაფასებული მეუღლეებიც.

ნინო ჩიბჩიური

დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

რომელიც შეიძლება იყო გატაცების მსხვერპლი, საოკუპაციო ხაზთან ე.წ საზღვრის კვეთის ბრალდებით დაკავებული და ა.შ. ეს ადამიანები შეიძლება იყვნენ წამების და ძალადობის მსხვერპლები, როგორიც არის მუქარა, შეშინება და სხვა.

მომართვიანობა წლების განმავლობაში გაიზარდა, რადგან ცნობიერება უფრო მაღალია. გარდა ცენტრში მომსახურების გაწევისა, ჩვენ გავდივართ თვეში ოთხჯერაც, სხვადასხვა სოფლებში. ჩვენი სოციალური მუშაკი, ექიმი, ფსიქოლოგი მიდის ადგილზე, ხდება ინფორმაციის მოკვლევა, იკვეთება პრობლემები, სწორედ ამან გაზარდა მომართვიანობა. ხშირად ადამიანს არ აქვს ფინანსური საშუალება და ინფორმაცია, რომ მოგვმართონ ოფისში, ამას ემატება მენტალიტეტი.. ხშირად, როცა ვუხსნით მოვიდნენ ჩვენთან, ვთავაზობთ მედიკამენტებსაც, მათ მაინც აქვთ მორიდების გრძნობა, ამიტომ ჩვენი ინტენსიური საველე გასვლები დიდი გადადგმული ნაბიჯია, რომ მომართვიანობა იყოს მაღალი.

ხშირად ძალადობის მსხვერპლს, მუდმივი სტრესისგან აქვს შფოთი, უძილობა, კუჭნაწლავის პრობლემები, გულის ტკივილი, ასეთ შემთხვევაში ექიმის მომსახურება არის მნიშვნელოვანი, ჩვენ ორგანიზაციას ჰყავს ექიმი. როდესაც მივდივართ ბენეფიციართან მას ჯერ ვაწვდით ინფორმაციას, ვუხსნით რა მომსახურების მიღება შეუძლია, თუნდაც სამედიცინო. ბუნებრივია ადამიანს იძულებით ვერაფერს გავაკეთებინებთ. თუ ბენეფიციარს ინფორმაციას მისთვის გასაგებ ენაზე მივაწვდით, ის მისთვის სასარგებლო ყველა მომსახურებას მიიღებს.



კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ქალებს ექმნებათ, ეს მენტალურ პრობლემას უკავშირდება, როდესაც ქალი თხოვდება და ტოვებს მშობლების ოჯახს, წესია დამკვიდრებული, რომ იქ მას უკვე აღარაფერი ეკუთვნის, მას მხოლოდ საკუთრება აქვს ქმრის ოჯახში, თუმცა როდესაც ხდება ოჯახში ძალადობა და ქალი რეკავს პოლიციაში, ხდება მისი დროებით თავშესაფარში გადაყვანა, ჩვენ არ გვაქვს სახელმწიფოში იმის ფუფუნება, რომ ეს ქალი გრძელვადიანად ვუზრუნველყოფთ თავშესაფარში საცხოვრებლით. როდესაც ეს ადამიანი გამოდის გარეთ რჩება თავშესაფრის, საცხოვრებლის გარეშე. კარგია, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიას აქვს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ქალებს ეხმარება ბინის ქირის გადახდაში. სხვა მუნიციპალიტეტებში არ არის ასეთი პროგრამა, ქალთა მიმართ ძალადობა კი მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტში არ ხდება. ხშირად ქალი იძულებულია დაბრუნდეს მოძალადესთან. ყველაფერთან ერთად პრობლემაა ისიც, რომ დაოჯახების დროს არ დგება კონტრაქტი, რომელიც დაიცავს ორივე მხარეს განქორწინების ზიანისგან. ბუნებრივია ზარალდებიან შვილებიც.

ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ადამიანებს გაძლიერებაში, ფსიქოლოგიურად, რომ მზად იყვნენ ნებისმიერი რისკისთვის და შეეძლოთ ბრძოლა, რომ ისინი გახდნენ დამოუკიდებლები.

ნინო ბალოიანი

ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის გორის ოფისის წარმომადგენელი

დასახლების საერთო კრება გორის მუნიციპალიტეტში (2023 წლის იანვარი)

„სახლის საქმეები, ბავშვები, სადილი, სად გვაქვს ამდენი დრო“ – რატომ არ ისმის ქალის ხმა სოფლად?

„ქალს იმდენი საქმე აქვს სახლში, სად სცალია სოფლის პრობლემების მოსაგვარებლადაც იაროს“, „ქალები კაცებზე წინ ხომ ვერ წავალთ, რასაც გადაწყვეტენ იმას გააკეთებენ“, „ჩვენ ვინ გვკითხავს, როგორც თვითონ უნდათ, ისე მოიქცევიან“ – ასეთი ფრაზები ისმის სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში, რომელთა ავტორები ძირითადად ისევ ადგილობრივი ქალები არიან.

დასახლების საერთო კრებებზეც, სადაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების გახარჯვას განიხილავენ, უმრავლეს შემთხვევაში კაცები ჭარბობენ. სოფლის კრებებზე მისული ქალების უმრავლესობას კი ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები შეადგენენ. შედარებით უკეთესი ვითარებაა ამ მხრივ იმ დასახლებებში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ.

რაშია პრობლემა და რატომ ვერ უზრუნველყოფენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ქალთა გააქტიურებას და ჩართულობის გაზრდას ადგილობრივ დონეზე?

„დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს საერთო კრების მოწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ მაინც. საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა“. მაგრამ სოფლად მცხოვრები ადამიანების ნაწილს არც „რჩეულის“ შესახებ სმენია და არც კრების უფლებამოსილების შესახებ იცის.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თითოეული სოფელი, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, იღებს 10 000-დან 20 000-მდე ლარს. დასაფინანსებელ პროექტებს, თავად მოსახლეობა ირჩევს. თითოეულ დასახლებაში ინიშნება ან სოფლის კრება ან კეთდება ამომრჩეველთა გამოკითხვა, სადაც მოსახლეობა კენჭს უყრის წინასწარ განსაზღვრულ 14 პუნქტიან ინფრასტრუქტურულ საპროექტო სიას (მაგ: სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, გზები, სკოლები, სპორტული მოედნები, სკვერები და სხვა). საშუალოდ, ქვეყნის მასშტაბით ყოველ წელს 5 000-მდე პროექტი ფინანსდება. სად არიან ამ დროს ქალები და რატომ არ ისმის სათანადოდ მათი ხმა სოფლად?

ის ვინც ემიგრაციას აცდა, სოფლის ყოველდღიურობით აგრძელებს ცხოვრებას. ეს ყოველდღიურობა კი საკმაოდ მძიმე შრომას და დატვირთულ რეჟიმს გულისხმობს.

ქალების ნაწილმა თავის დროზე უარი თქვა ან ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება დაოჯახების ან/და სხვა მიზეზის გამო. ახლა მათი ნაწილის პროფესია სოფლის მეურნეობაშია და იქაც ძირითადად დაქირავებული მუშის სტატუსით. ან სულაც ე.წ“.სახლის საქმეები“ მიაბარეს და ოჯახის მოვლა-პატრონობის გეგმა შეუდგინეს. არა და მათი ბავშვობის დროინდელი ოცნებები სულ სხვა გარემოს ასახავდა.

ბოლო პერიოდში არაერთ სოფელში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ადგილობრივი ქალები არა თუ პასიურობენ თემში არსებული საჭიროებების გაწყვეტის პროცესში, არამედ არ აქვთ ინფორმაცია როგორაა შესაძლებელი მათი მონაწილეობით ცვლილებების განხორციელება.

„არც ვიცით კრებას სად და როდის ატარებენ, ან რა თანხა დაიხარჯება ჩვენი სოფლისთვის და რისთვის“, „კარდაკარ დადიან და ხელს გვაწერინებენ უკვე გადაწყვეტილ საკითხებზე“, „მთავარია რამე გაკეთდეს და რაშიც უნდა დახარჯონ ფული“ – ინფორმაციის ნაკლებობა სოფლად მცხოვრებ ქალებში აშკარაა.

განსხვავებული სიტუაციაა ქალთა იმ ჯგუფებში, რომლებმაც გადაწყვიტეს საკუთარი თემის განვითარებაში წვლილის შეტანა და საჭირო კონტაქტები დაამყარეს, თუმცა ეს ყველაფერი ისევ სტერეოტიპული განწყობებისა და თანასოფლელების კრიტიკის ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ აქტიური ქალის ცხოვრება დღემდე განსჯის თემა ხდება, სოფლად რჩებიან ქალები, რომლებიც სხვა ქალების გააქტიურებას და ინფორმირებულობას ცდილობენ.

თუმცა მხოლოდ ერთეული შემთხვევები ვითარებას ვერ შეცვლის. ეს ყველაფერი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, თუ ამ პროცესში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებიც სათანადოდ არ იაქტიურებენ.

აქტიურობა მხოლოდ ერთჯერადი ვიზიტებით და საინფორმაციო ბროშურების დარიგებას არ ნიშნავს, სოფლად მცხოვრებ ქალებთან მუშაობა მუდმივ რეჟიმში უნდა ხორციელდებოდეს და მათთვის საკუთარი უფლებების განხილვა მხოლოდ არასამთავრობო სექტორის კომპეტენციად არ უნდა მიიჩნეოდეს.

სოფლად მცხოვრებ ქალებში ნამდვილად არსებობს იმის პოტენციალი, რომ სხვადასხვა მიმართულებით გაიუმჯობესონ უნარები, მოიძიონ საჭირო მხარდაჭერის გზები და გახდნენ ცვლილებების ინსპირატორები, სხვა შემთხვევაში ისინი მომავალ თაობას ისევ იმ ცხოვრების „ნორმას“ დაუწესებენ, რაც თავის დროზე მათ შეუქმნა ოჯახმა თუ საზოგადოებამ. ქალის ხმას „ახშობს“ ყველაზე მთავარი – ინფორმაციის ნაკლებობა საკუთარ უფლებებზე და რაც ყველაზე მთავარია, გარშემო არსებული სტერეოტიპული მიდგომები, რასაც ხელს ისევ ჩვენს გარშემომყოფი ადამიანები უწყობენ. არა და ქალებს ბევრად მნიშვნელოვანი საკითხების გაჟღერება და გადაწყვეტა შეუძლიათ, რაც უფრო მეტად მრავალფეროვანს, აქტიურს და საინტერესოს გახდიდა თემს.

ამისთვის, მუნიციპალიტეტებმა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად, უნდა გაწერონ სპეციალური საქმომედო გეგმა სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურებასა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, იმგვარად, რომ ეს პროგრამა თითოეულ ბენეფიციარში მონაწილეობის აუცილებლობის და ვალდებულების განცდას ტოვებდეს.

ნინო ჩიბჩიური

დასახლების საერთო კრება გორის მუნიციპალიტეტში (2023 წლის იანვარი)

„ᲒᲝᲒᲝᲐ ᲓᲐ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲛᲘᲩᲔᲓᲐᲕᲡ“ – ᲠᲐ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚ ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘ�პᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲗᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ?

სტერეოტიპი – ამ სიტყვის გაგონებისას ყველა ადამიანს განსხვავებული აზრი ებადება ადამიანთა ნაწილს კი უბრალოდ სმენია, ეს სიტყვა და იმეორებს დაუსრულებლად ისე რომ, არც კი იცის რას ნიშნავს ის.

ლექსიკონში თუ ჩავიხედავთ, წავიკითხავთ სტერეოტიპი ეს არის... „საყოველთაოდ მიღებული, ორიგინალობას მოკლებული აზრი, შეხედულება, ფორმა“. ან „გარკვეული სოციალური ჯგუფის შესახებ ინდივიდის ცოდნა, რწმენები და მოლოდინები“.

ერთი შეხედვით, არაფერს აშავებს ეს განმარტება და ძალიან ნორმალურადაც ჩანს, მაგრამ რეალურად ამ ყოველივეს მიღმა იმალება უამრავი აგრესია, შიში, კომპლექსები, განათლების მიღმა დარჩენილი გოგონები...

ბიჭები, რომლებმაც საკუთარი სურვილები ვერ დაიკმაყოფილეს და ბოლოს ყველაზე მთავარი, სადამდეც სტერეოტიპებს მივყავართ არის საზოგადოება, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ძალადობს ერთმანეთზე.

სანამ უშუალოდ თითოეულ ზემოთ ნახსენებს განვიხილავთ, მოდი ყველაფერი დავიწყოთ თავიდან, საიდან ჩამოყალიბდა სტერეოტიპები და როგორ გარდაიქმნა ისინი ზიანის მომტანად ადამიანებისათვის?

პირველად სიტყვა „სტერეოტივი“ 1922 წელს იქნა გამოყენებული და იგი იმის აღსაწერად გამოიყენეს, თუ როგორ იქმნიან ადამიანები გონებაში სხვა ადამიანთა ჯგუფების შესახებ წარმოდგენებს, აღსანიშნავია ისიც რომ, ერთსა და იმავე ჯგუფში მყოფ სხვადასხვა ადამიანს ერთსა და იმავე თვისებებსაც კი მიაწერდნენ. დროთა განმავლობაში, ტრადიციები, ცრუ რწმენები, ფსიქოლოგიური ფაქტორი, ოჯახური ფაქტორი თუ საცხოვრებუელი გარემო გახდა სტერეოტიპთა გამრავალფეროვნების, გაღრმავებისა და საზოგადოებაში ფესვების გადგმის მიზეზი. 98 წელი გავიდა მას შემდეგ რაც ეს ტერმინი პირველად გამოიყენეს, უამრავი თაობა შეიცვალა და თითოეული მათგანი ისე იყენებდა ამ ტერმინს, როგორც აწყობდა, საზოგადოება ვითარდებოდა, ადამიანები სიახლეებისკენ მიიწევდნენ, ტექნოლოგიები იქმნებოდა და ადამიანების შეხედულებები იცვლებოდა, მხოლოდ ერთი რამ რჩებოდა უცვლელი მუდამ, ყოველთვის არსებობდა და არსებობს სტერეოტიპები, როელიც უარყოფით გავლენას ახდენდა და ახდენს, როგორც სრულიად საზოგადოებაზე ისე კონკრეტულ ინდივიდებზე.

21-ე საუკუნეში, როდესაც ყველაფერი წინ მიიწევს, საზოგადოება ვითარდება და მფრინავი მანქანები გამოიგონეს, როდესაც შეგვიძლია დედამიწის ერთი ბოლოდან მეორეში დავუკავშირდეთ ადამიანებს... ჯერ კიდევ არსებობს შეხედულებები, როლმებიც საზოგადოების ერთი მხარიდან მეორეს დაბულინგებას იწვევს, სწორედ ესაა სტერეოტიპები.

რამდენჯერ გსმენიათ სიტყვები: „ქალი ვიცი კუხნაში“, „ფრთხილად, საჭესთან ქალია“, „მათემატიკაში ძლიერები ბიჭები არიან“, „სათვალიანია და ნიჭიერი იქნება“ „ქერა გოგონები სულელები არიან“, „გოგოა და ქმარი მიხედავს“ „ქალმა ოჯახის საქმეს უნდა მიხედოს“ და ა. შ ხედავთ რამდენი სტერეოტიპი დავწერე? ახლა იმასაც დააკვირდით, რომ ერთი მხარე ყოველ წინადადებაში დაკნინებულია, სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რომ აბსოლუტურად ყველა სტერეოტიპი არის ნეგატიური სახის და ყოველთვის მიზანმიმართულია ერთი მხარის დამცირებისკენ.

მახსოვს, როდესაც ბავშვი ვიყავი, გოგონები მე-9 კლასიდან თხოვდებოდნენ, თუ მათ არავინ ითხოვდა ჭორებსაც კი უგორებდნენ, თითქოს დააგვიანდა გათხოვება, ამის გამო ბევრი გოგონა დარჩა განათლების მიღებისა და სიახლეების შეცნობის მიღმა, ისიც მახსოვს. მშობლის სიტყვებიც გამიგია „ბიჭია და ოჯახი უნდა არჩინოს, მაგისთვის სჭირდება სწავლა. შენ გოგო ხარ და ქმარი მოგხედავსო“ – რომ ეუბნებოდა ერთ-ერთ შვილს.

ეს დღესაც ხდება, დღესაც არ უწყობენ გოგონებს განათლების მიღებაში ხელს, დღესაც ათხოვებენ ნაადრევად, დღესაც მიიჩნევენ, რომ ქალის საქმე ოჯახისა და შვილების მოვლაა, დღესაც მიიჩნევენ, რომ თუ გოგონას საკუთარი თავი არ აკომპლექსებს და იცვამს იმას, რაც უნდა, ის წესიერი არაა... რა თქმა უდნა, ეს ყველგან არ ხდება, რა თქმა უნდა ეს ყველას არ ეხება, საბედნიეროდ საზოგადოების დიდმა ნაწილმა, ფეხი აუწყო ცხოვრებას და განვითარდა დროის სვლასთან ერთად, მაგრამ მაინც რჩება სტერეოტიპები მათში, ძალიან მცირე დოზით, მაგრამ მაინც...

და მაინც, ვერასდროს გავიგებ, რატომ უნდა მიშლიდეს დასაქმებაში ხელს ჩემი ტატუები, რატომ უნდა აღმიქვამდეს თუნდაც საზოგადოების ნაწილი მანქანად, რომელსაც ბავშვების გაჩენის გარდა არაფერი ევალება, რატომ არ უნდა შემეძლოს გავთხოვდე მაშინ, როდესაც მინდა?

შენ ძვირფასო მკითხველო, დაფიქრდი რამდენჯერ გქონია კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით სტერეოტიკული დამოკიდებულება?რამდენჯერგიფიქრია,როდესაცმანქანა ცუდად დაპარკინგებული ან ცუდი მანევრით მოძრავი შეგინიშნავს, რომ საჭესთან ქალია? რამდენი ადამიანია შენს გარშემო, რომელიც ფიქრობს, რომ ოჯახს ქალმა უნდა მიხედოს? ახლა მხოლოდ ერთსღა გეტყვი, ნებისმიერი სტერეოტიპი საწყისია ძალადობისა და შენ, როდესაც, რაღაც თემას სტერეოტიპულად უყურებ ხდები პირდაპირი ან ირიბი მოძალადე, გვინდა ძალადობით სავსე სამყაროში ცხოვრება?

ᲠᲣᲡᲙᲐ ᲒᲣᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

შიდა ქართლის რეგიონში 400-მდე ქალი დავასაქმეთ –

ინტერვიუ სამკერვალო საწარმო „ლიდერის“ დამფუძნებელთან

ქალაქ გორში მდებარე სამკერვალო საწარმო „ლიდერი“ შიდა ქართლში მცხოვრები დევნილი და სოციალური საჭიროების მქონე ქალების გაძლიერებაზე მუშაობას წელსაც აქტიურად აგრძელებს. ამასთან ერთად საწარმო მუშაობს, ტექსტილის ნარჩენების შემცირებაზე მისი გადამუშავების გზით. ქალთა გაძლიერებასა და გარემოზე ზრუნვა „ლიდერის“ საკვანძო ღირებულებებია. კომპანია აქტიურად არის ჩართული გარემოსდაცვით პროექტებში და მუდმივად ცდილობს, მხარი დაუჭიროს ქალთა როლის გაზრდას საზოგადოებაში.

''ჩვენი საწარმოს საშუალებით 400-მდე ქალმა ახალი პროფესია შეიძინა და დასაქმდა. რაც შეეხება ტექსტილის ნარჩენების შემცირებას, 2022 წელს 10 ტონა ტექსტილი ახალ პროდუქტად ვაქციეთ და მისი რეალიზაცია მოვახდინეთ, ჩვენი საქმიანობის განვითარებისთვის“, – ამბობს საწარმოს დამფუძნებელი, ნინო გიორგაძე.

ნინო აქტიურად თანამშრომლობს „ქართულ მედია ჯგუფთან“ და საკუთარ გამოცდილებას პერიოდულად უზიარებს ორგანიზაციის პროექტის მონაწილე ქალებს, რომელთა შორის არიან დევნილები.

– ნინო, გვითხარით, რა გამოწვევების წინაშე დგანან დღესდღეობით შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალები?

– ძირითადი გამოწვევა, რაც ადგილობრივ ქალებს აწუხებთ, როგორც თავად ამბობენ, არის ის, რომ არიან სტერეოტიპების და იმ პატრიარქალური საზოგადოების მსხვერპლნი, რაც დაგვრჩა მემკვიდრეობით და დღემდე მოგვდევს. ამ ქალებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რომ სტერეოტიპებს ებრძოლონ, საზოგადოებრივ აზრთან ერთად შეცვალონ საკუთარი თავი და მათ დასახლებაში მცხოვრები ქალები, რომლებიც საერთო ჯამში ერთად შეცვლიან საზოგადოებრივ აზრს უკეთესობისკენ.

– თქვენ ხართ წარმატებული მეწარმე და ძალიან აქტიური ქალი, პირადი მაგალითებით, რომ გვიპასუხოთ, რატომ უნდა იყოს ქალი ძლიერი?

– ძლიერი ქალი ნიშნავს ძლიერ ეკონომიკას, ძლიერ ოჯახს, სადაც ისინი ცხოვრობენ. ქალები თუ წავლენ პოლიტიკაში, ქალები თუ წავლენ ბიზნესში, იქნებიან ისეთივე წარმატებულები, როგორიც არის თითოეული აქტიური ქალი ოჯახში. რადგან ამაზე აღარავინ აღარ კამათობს, რომ ოჯახში ქალის როლი არის შეუფასებელი და ქალის როლი არის წარმოუდგენლად მაღალი. იმიტომ რომ ის გეგმავს, ის ხელმძღვანელობს ყველა პროცესს, რაც ოჯახს ეხება.

შესაბამისად, როდესაც ქალი გადაწყვეტს, რომ მან უხელმძღვანელოს ბიზნესს ან რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურას, აუცილებლად იქნება იქ წინსვლა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას უხელმძღვანელებს ქალი. ამას ადასტურებს და მოწმობს ის სტატისტიკა, ის უამრავი კონკრეტული მაგალითები, რაც ჩვენს გარშემო ხდება.

– რა ეტაპები გაიარეთ რომ აქამდე მოსულიყავით? იმის გამო, რომ იყავით ქალი, იყო თუ არა წინააღმდეგობები?

– 2016 წლიდან ვხელმძღვანელობ სოციალურ სამკერვალო საწარმოს „ლიდერი“, რომელიც გორში მდებარეობს და პრინციპულად არ ვიცვლით ადგილს, რადგან ვზრუნავთ რეგიონის განვითარებაზე. გვინდა, რომ ადგილობრივი ეკოსისტემა გავაძლიეროთ. ჩვენი მთავარი სოციალური მიზანი არის ადგილობრივი, გორსა და მის სოფლებში მცხოვრები ქალების, მათ შორის სოციალურად მოწყვლადი პირების გაძლიერება და ამ შედეგებს ვგრძნობთ კიდეც. ვხედავ, როგორ ძლიერდებიან ის ქალები, რომლებიც ჩვენთან გარკვეულ სწავლებას გადიან. მოკლე სტატისტიკა რომ გითხრათ, 2016 წლიდან დღემდე 400 ქალი გადავამზადეთ, საიდანაც დაახლოებით ნახევარს უკვე აქვს სამსახური. მთგან ზოგიერთი – ჩვენს საწარმოში, ნაწილი თვითდასაქმებულია, ნაწილი სხვა საწარმოებში მუშაობს, იმ ფონზე, როდესაც ამ ქალების უმეტესობას მანამდე არანაირი პროფესია არ ჰქონდა. ჩვენთან მიღებული განათლება გახდა მათთვის შემოსავლის წყარო. როდესაც მოვუყევი პრაქტიკული მაგალითები და ვუთხარი, თუ როგორ შეიძლება ნულიდან დაიწყო საქმიანობა, თუკი სასიკეთო საქმეს აკეთებ, როგორ შეიძლება შეგამჩნიონ დონორებმა, ინვესტორებმა და იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც შემდგომ განვითარებაში დაგეხმარებიან, ეს მათთვის დიდი სტიმული აღმოჩნდა. რეალურად ჩემ კონკრეტულ შემთხვევაში მივიღეთ ის, რომ 3 თანამშრომლით დავიწყეთ საქმიანობა და დღეს უკვე 35 ადამიანია დასაქმებული, ეს კი ჩვენნაირი პატარა რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

– თქვენთან საწარმოში მუშაოებენ ომგამოვლილი ქალებიც, თქვენი აზრით რა როლი აქვთ ამ ქალებს მშვიდობის მშენებლობაში? რა მაგალითების მოყვანა შეგიძლიათ?

– მთავარი მაგალითი არის ის, რომ ჩვენ რამდენიმე კილომეტრი გვაშორებს ე.წ. გამყოფ ზოლს და იქ მაცხოვრებელი ქალები არ ტოვებენ პრინციპულად სოფელს და იმ საცხოვრებელ ადგილს, სადაც ისინი ომამდეც ცხოვრობდნენ. ეს გვარწმუნებს იმაში, თუ რამდენად ძლიერია ქალი, რამდენად მნიშვნელოვანია მისი როლი მშვიდობის მშენებლობაში. მათ აქვთ ურთიერთობა გამყოფი ზოლის მიღმა მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებთან და სწორედ ეს გვაიმედებს, რომ ისევ შეიძლება გარკვეული ურთიერთობები აღდგეს. ვფიქრობ, მსგავსი საქმიანობები და საერთო შეხების წერტილები მათ უფრო მეტად დააახლოვებთ.

ლელა ლოგჟანიძე

გაუმარჯოს სულით დემოკრატს

ის, ვინც აცხადებს, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია ბუნებრივათ ერთნაირი უფლებით, რომ ყველა უნდა სარგებლობდეს პიროვნულად თავისუფლებით და მოქალაქეობრივათ სწორუფლიანობით და ამ განცხადებაში არ გულისხმობს ორთავე სქესს, ის – დამრღვევია დემოკრატიული პრინციპისა.

ის, ვინაც ფიქრობს, რომ მოქალაქური უფლების ღირსი მხოლოდ მამრობითი სქესია, რომელიც უნდა იქნეს ერთადერთ გამგედ საზოგადო კანონმდებლობისა და წესწყობილებისა, ის არასდროს არ იქნება და არც ჩაითვლება ხალხის მეგობრად და თუ ასეთი კაცი თავის თავს დემოკრატს უძახის ის, – დემოკრატია მხოლოდ მისთვის, რომ არ დაბადებულა თავადათ. ასეთი მარტო ერთი შთამომავლობით დემოკრატი, ვერ იქნება ვერც განმამტკიცებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და ვერც დამცველი სამართლიანობისა და თანასწორობისა.

დემოკრატს ვეძახით ჩვენ მხოლოდ მას, ვინც იცავს ადამიანის პიროვნებას ქალია, ის თუ კაცი, ყოველგვარ ძალმომრეობისაგაც, ვინაც იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს არავითარ კაცისაგან კაცის ჩაგვრას იმ საზოგადოებაში, რომელსაც ის ემსახურება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინაც ხალხის სახელით სამართლიანობას გაყივის და გულში კი სექსური პრივილეგიის დამცველია, ასეთი მყვირალა დემოკრატიის მიზანია, დამარცხებული ბატონების ადგილი დაიჭიროს თვისდა გასაბატონებლად.

ასეთი „დემოკრატი“ უფლებისათვის მებრძოლ ქალებს არა..... არამედ მის წინააღმდეგ ამხედრებს კიდეც.

ჩვენ არ გვაშინებს ქალთა უფლების მტერთა ფიზიკური ძალა, რადგან მუშტის ღონე შეერთებულ დედაკაცების დიად ზნეობრივ ძალასთან, ისეთ საბრალოთ მიგვაჩნია, რომლეზედაც ლაპარაკიც არა ღირს.

ჩვენ ვეძახით დემოკრატს იმას, ვინც ორთავე სქესის ღირსეულ ადამიანურ ცხოვრებისათვის იბრძვის და ვინც ხელს უშლის მას ამ პატიოსან გზაზე ქალი იქნება ის, თუ კაცი არავის არ დაინდობს. ასეთი დემოკრატი ჩვენი ძმა და მეგობარია და მათთან ერთად ჩვენ შევსძლებთ იმ დემოკრტიული მინდვრის გასწმენდას, რომელზედაც ამდენი ქალთა უფლების მტერნი აღმოცენდა.

გაუმარჯოს სულით დემოკრატს.

1917 წელი, №4

გაზეთიდან „ხმა ქართველი ქალისა“

გაზეთი გამოიცემა „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის („ხმა ქართველი ქალისა“ – ფემინისტური მედია შიდა ქართლში") ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია "ქალთა ფონდის" მიერ

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA